მომსახურების ხელშეკრულება 24

CPV 90920000

ჭიათურა 11.05.2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის სოფ.მერევის საჯარო სკოლა, საიდენტიფიკაციო კოდი 215606743, იურიდიული მისამართი : ქ.ჭიათურა, სოფ. მერევი და მეორეს მხრივ, „გიორგი შეყრილაძე" საიდენტიფიკაციო კოდი 54001000503, იურიდიული მისამართი ჭიათურა, იაშვილის ქ.#21
ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:
სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2. მომსახურების წესი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად, კეთილსინდისიერად, მაღალკვალიფიციურად.
2.2. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პერიოდულად 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ყოველი მომსახურების გაწევის შემდეგ დგება შესაბამისი აქტი.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს გაწეულ მომსახურებაში 1 კვ.მ სველ წერტილზე 0,50 თეთრი, დანარჩენ ფართზე 1 კვ.მ 0,25 თეთრი.
3.2. შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოხდება მომსახურების გაწევიდან არა უმეტეს ხუთი დღის ვადაში.
3.3. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.4. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს შემსრულებელი გადაიხდის პირადად (ან დაუკავებს შემკვეთი).

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

შემკვეთი	შემსრულებელი
სსიპ ჭიათურის სოფ. მერევის საჯარო სკოლა	ი/მ გიორგი შეყრილაძე
საიდენტიფიკაციო კოდი: 215606743	საიდენტიფიკაციო კოდი 54001000503
ბანკი: „ლიბერთი ბანკი“	ბანკი: „ ლიბერთი ბანკი“
ანგარიშის N GE54LB0121210792223000	N GE24LBO112173454159000
დირექტორი: მ. ასანიძე	ი/მ: გ.შეყრილაძე